www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ინფორმაცია სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების საქმიანობის შესახებ

2016

წლის შედეგები

31.08.2017

www.geostat.ge

31.08.2017

ინფორმაცია სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების საქმიანობის შესახებ, 2016 წელი

დეკლარირებული მონაცემების მიხედვით, 2016 წელს საქართველოში ფუნქციონირებდა სასტუმროს მომსახურებით დაკავებული 1415 ეკონომიკური სუბიექტი[1], რომელთაც გააჩნიათ 1496 სასტუმრო და სასტუმროს ტიპის დაწესებულება (ადგილობრივი ერთეულების და ფილიალების ჩათვლით).

სასტუმროს მომსახურებით დაკავებული ეკონომიკური სუბიექტებისათვის ყველაზე გავრცელებულ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება წარმოადგენს, რომლის წილად მოდის 2016 წელს მოქმედი სასტუმროების და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების საერთო რაოდენობის 57.4%, ინდივიდუალური მეწარმის წილად - 40.6%. დანარჩენ მათგანს გააჩნია სააქციო საზოგადოების (1.3%), სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების (0.1%) და სხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის (0.6%) სტატუსი.

მოქმედი სასტუმროების 99.5% კერძო საკუთრებაშია, ხოლო 0.5% - სახელმწიფო საკუთრებაში.

2016 წელს საქართველოში მოქმედი სასტუმროების და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების საერთო ფართობი 1675.1 ათას კვადრატულ მეტრს შეადგენდა (29.5%-ით მეტი, გასული წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით). აქედან იჯარით გაცემულია 28.7 ათასი კვადრატული მეტრი, ხოლო ყველა ნომრის საცხოვრებელმა ფართობმა 821.4 ათასი კვადრატული მეტრი შეადგინა (33.3%-ით მეტი, გასული წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით).

2016 წელს მოქმედ სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში ადგილების საერთო რაოდენობამ 61.4 ათასი ერთეული შეადგინა. ნომრების საერთო რიცხვი 28.4 ათასი ერთეულია, რომელთა 10.0% ლუქსია, 12.9% – ერთადგილიანი, 57.8% – ორადგილიანი, ხოლო 19.3% სამი და მეტი ადგილის მქონე ნომრებია.

2016 წლის განმავლობაში საქართველოს სასტუმროები და სასტუმროს ტიპის დაწესებულებები 2539.8 ათას სტუმარს მოემსახურა, რაც 37.0%-ით აღემატება გასული წლის შესაბამის მაჩვენებელს. საქართველოს სასტუმროებს სტუმართა 65.8% საზღვარგარეთის ქვეყნებიდან სტუმრობდა[2], 34.2% - საქართველოდან. საზღვარგარეთის ქვეყნებიდან საქართველოს სასტუმროებს უმეტესად სტუმრობდნენ რუსეთიდან (13.8%) შემოსული სტუმრები. ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსულ სტუმართა შორის უმეტესობას პოლონეთიდან (21.1%) და გერმანიიდან (18.1%) შემოსული სტუმრები

[1] საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული იურიდიული პირები და ინდივიდუალური მეწარმეები.

[2] სასტუმროების და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების სტატისტიკური გამოკვლევის შედეგების შედარებისას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მონაცემებთან დაფიქსირდა, რომ ტურისტების (24 საათით და მეტი დროით შემოსული) 61.4%-მა ისარგებლა სასტუმროს და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების მომსახურებით, ხოლო დანარჩენი ცხოვრობდა ახლობლის/ნათესავის ბინაში ან განთავსდა საოჯახო სასტუმროებში.

შეადგენდნენ, ხოლო სხვა ქვეყნებიდან შემოსულ სტუმართა შორის უდიდესი წილი თურქეთიდან (24.0%) და ირანიდან (11.8%) შემოსულ სტუმრებს უკავია.

შემდეგი დიაგრამა ასახავს არარეზიდენტი სტუმრების პირველ ათეულს, რომლებიც 2016 წელს სტუმრობდნენ საქართველოს სასტუმროებს:

დიაგრამა 1.

არარეზიდენტი სტუმრების პროცენტული განაწილება ქვეყნების მიხედვით



2016 წელს გასულ წელთან შედარებით, სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში სტუმართა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა ირანიდან (6.6-ჯერ), რუსეთიდან 71.2% - ით, თურქეთიდან - 70.0% - ით, უკრაინიდან - 41.4%-ით, გერმანიიდან - 27.9%-ით, პოლონეთიდან - 21.6%-ით, აშშ-დან - 19.4% - ით და სომხეთიდან - 11.9% - ით.

საზღვარგარეთის ქვეყნებიდან საქართველოს სასტუმროებს უმეტესად სტუმრობდნენ რეკრეაციისა და დასვენების მიზნით (74.6%), საქმიანი და პროფესიული მიზნით - 16.0%, მკურნალობის მიზნით - 1.6%, ხოლო დარჩენილი 7.8% სხვა მიზნებზე მოდის.

შემდეგი დიაგრამა ასახავს არარეზიდენტი სტუმრების განაწილებას სტუმრობის მიზნის მიხედვით:

დიაგრამა 2.

არარეზიდენტი სტუმრების პროცენტული განაწილება სტუმრობის მიზნის მიხედვით



რეკრეაციისა და დასვენების მიზნით, სასტუმროებსა და სასტურმოს ტიპის დაწესებულებებში განთავსებული არარეზიდენტი სტუმრებიდან 14.3% მოდის რუსეთიდან ჩამოსულ სტუმრებზე, 13.6% - თურქეთზე, 7.4% - უკრაინაზე, 6.8% - ირანზე, 6.3% - ისრაელზე, 3.6% - აზერბაიჯანზე, 3.6% - სომხეთზე და 3.2% პოლონეთზე.

შემდეგი დიაგრამა ასახავს არარეზიდენტი სტუმრების რაოდენობას სტუმრობის მიზნის მიხედვით, 2016 და 2015 წლებში:

დიაგრამა 3.



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

გიორგი სანაძე, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: gsanadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge